

ჩრდილოეთ ამერიკის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაცია (NAFTA) და მისი ეკონომიკური შედეგები

რამაზ ფუტარაძე

ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

ივანე ჯვახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

ramaz.putkaradze@tsu.ge

საკვანძო სიტყვები: ეკონომიკური ინტენცია, ნაფტა, თავისუფალი ვაჭრობა,
კონკურენცია ეფექტები

ჩრდილოეთ ამერიკის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაცია (NAFTA) დაარსდა 1994 წელს აერთიანებს აშშ-ს, კანადასა და მექსიკას. შეთანხმების ძალაში შესვლის შემდეგ გააუქმდა უმეტესი სატარიფო და არასატარიფო ბარიერების ამ ქვეყანას შორის. ასოციაციამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი წევრ სახელმწიფოებს შორის ვაჭრობის გაღრმავებას და ინვესტიციების ზრდას.

ნაფტა არის მაგალითი თუ რა დადებითი სიკეთის მოტანა შეუძლია თავისუფალ ვაჭრობას წევრი ქვეყნებისათვის. მიუხედავად ნაფტას არსებობის 24 წლისა მან უდიდესი შედეგები მოუტანა წევრ ქვეყნებს, გაიზარდი წევრი ქვეყნების შემცველებელი მომავალი. სხვადასხვა კვლევებით 1993 წლიდან დასაქმება. ნაფტა არის მაგალითი, რომ თავისუფალ ვაჭრობას აქვს და ექნება მომავალი. სხვადასხვა კვლევებით 1993 წლიდან დასაქმებულთა რაოდენობა 40 მლნ ადგინიანით გაიზარდა. უნდა აღინიშნოს რომ, აშშ-ის სასაქონის ექსპორტის მოცულობა კანადაში 1993 წლის 100 მლრდ აშშ დოლარიდან 2016 წლის 267 მლრდ აშშ დოლარამდე გაიზარდა. ხოლო მექსიკაში – 142 მლრდ. დან 498 მლრდ აშშ დოლარამდე; აშშ-ის იმპორტის მოცულობა კანადიდან შეადგენდა 1993 წლის 111 მლრდ აშშ დოლარს, ხოლო 2016 წლის 278 მლრდ აშშ დოლარს, ხოლო მექსიკიდან იმპორტი – 151 მლრდ-დან 572 მლრდ აშშ დოლარამდე. მექსიკაში ყოველი მე-4 სამუშაო ადგილი ექსპორტება დამოკიდებული.

ცხრილი 01 [1, გვ.5.]

**მექსიკის, კანადისა და აშშ-ის მირთადი ეკონომიკური ინდიკატორები
1994 და 2017 წლები**

	Mexico		Canada		United States	
	1994	2017	1994	2017	1994	2017
Population (millions)	92	129	29	37	263	327
Nominal GDP (US\$ billions)	508	1,148	548	1,627	7,309	19,371
Nominal GDP, PPP Basis (US\$ billions)	790	2,372	654	1,671	7,309	19,371
Per Capita GDP (US\$)	5,499	8,890	19,914	44,415	27,777	59,332
Per Capita GDP in \$PPP	8,555	18,370	22,531	45,630	27,777	59,330
Exports of goods and services (% of GDP)	14%	37%	33%	31%	10%	12%
Imports of goods and services (% of GDP)	18%	39%	32%	34%	11%	15%

ბრუნვამ 2016 წელს 85,4 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა, აქედან აშშ მომსახურების ექსპორტმა კანადაში 56,4 მლრდ აშშ დოლარი, ხოლო იმპორტი 29 მლრდ აშშ დოლარი იყო. აშშ-ს დადგებითმა სავაჭრო ბალანსმა კანადასთან 27,4 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა.

ბოლო წლებით კანადა ამერიკის შეერთებული შტატების უმსხვილესი საექსპორტო ბაზარია. 2017 წელს აშშ-ის საექსპორტო საქონელი კანადაში 282,5 მლრდ აშშ დოლარი იყო და აშშ-ს ექსპორტი კანადაში 1993 წელთან შედარებით 181%-ით გაიზარდა. აშშ-ს ექსპორტი კანადაში 2017 წელს აშშ-ის საერთო ექსპორტის 18.3%-ს შეადგინს. მხოლოდ აშშ-ის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტმა კანადაში 2017 წელს 24 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა. კანადაში აშშ-ს მომსახურების ექსპორტის ექსპორტის მოცულობამ 2017 წელს 58,7 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 1993 წელთან შედარებით 245%-ით გაზრდილია.

კანადა იყო 2017 წელს აშშ-ის მე-3 უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი იმპორტის კუთხით, ჩინეთისა და მექსიკის შემდეგ. 2017 წელს აშშ-ის საქონლის იმპორტმა კანადიდან 300 მლრდ აშშ შეადგენდა, რაც წინა წელთან შედარებით 8.0% (22.2 მლრდ აშშ დოლარი), ხოლო 1993 წელთან შედარებით 170%-ით გაზრდილია. აშშ-ის იმპორტში კანადის ხვედრითმა წონამ 12.8% შეადგენა.

კანადიდან აშშ-ში მომხასურების იმპორტმა 2017 წელს 32,8 მლრდ აშშ დოლარი იყო, რაც 2016 წელთან შედარებით

მეტია 9.5%-ით (2.8 მლრდ აშშ დოლარი) ხოლო 1993 წლის მონაცემებთა დაბალოებით 260%-ით.

აშშ-ის პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ კანადაში 2016 წელს 366,9 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო აშშ-ში კანადურმა პუი-ების მოცულობამ 371,5 მლრდ აშშ დოლარი.

აშშ-მექსიკის საგარეო სავაჭრო თანამშრომლობა. აშშ-ის ოფიციალური მონაცემებით, საქონლით ვაჭრობაში თუ მას 2017 წელს კანადისთან 17,5 მლრდ აშშ დოლარის დეფიციტი დაფიქსირდა, მექსიკასთან 71,1 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა. მექსიკა აშშ-ის მე-2 უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორია, მხარეებს შორის სავაჭრო ბრუნვამ 2017 წელს 557 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა, აქედან აშშ-ის საქონლის ექსპორტი 243, ხოლო კოექსივიდან საქონლის იმპორტმა 314 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა. მხარეებს შორის მომსახურებით ვაჭრობის მოცულობამ 2017 წელს 59,5 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა (2016 წელი – 53,4), აქედან აშშ მომსახურების ექსპორტი 33,3 მლრდ აშშ დოლარი, ხოლო მექსიკიდან მომსახურების იმპორტი 26,3 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა

მექსიკა აშშ-ის მეორე საექსპორტო ქვეყანაა. 2017 წელს აშშ-ის საქონლის ექსპორტმა მექსიკაში 243 მლრდ დოლარი შეადგინა, რაც წინა წელთან შდარებით 5,8%-ით მეტია (13,3 მილიარდი), ხოლო 1993 წელთან შდარებით 484%-ით გაზრდილია. მექსიკაზე მოდის აშშ-ს მთლიანი ექსპორტის 15,7%. აშშ-ის მომსახურების ექსპორტმა მექსიკაში 2017

ცხრილი 02 [3, გვ. 39.]

აშშ-ის საქონლით საგარეო ვაჭრობა NAFTA-ს ქვეყნებთან (მლრდ აშშ დოლარი)

წელი	კანადა		მექსიკა		NAFTA				
	ექსპორტი	იმპორტი	სავაჭრო სალდო	ექსპორტი	იმპორტი	სავაჭრო სალდო	ექსპორტი	იმპორტი	სავაჭრო სალდო
1993	100.4	111.2	-10.8	41.6	39.9	1.7	151.1	9.1	-9.1
1994	114.4	128.4	-14.0	50.8	49.5	1.3	165.3	177.9	-12.6
1995	127.2	144.4	-17.1	46.3	62.1	-15.8	173.5	206.5	-33.0
1996	134.2	155.9	-21.7	56.8	74.3	-17.5	191.0	230.2	-39.2
1997	151.8	167.2	-15.5	71.4	85.9	-14.5	223.2	253.2	-30.0
1998	156.6	173.3	-16.7	78.8	94.6	-15.9	235.4	267.9	-32.5
1999	166.6	198.7	-32.1	86.9	109.7	-22.8	253.5	308.4	-54.9
2000	178.9	230.8	-51.9	111.3	135.9	-24.6	290.3	366.8	-76.5
2001	163.4	216.3	-52.8	101.3	131.3	-30.0	264.7	347.6	-82.9
2002	160.9	209.1	-48.2	97.5	134.6	-37.1	258.4	343.7	-85.3
2003	169.9	221.6	-51.7	97.4	138.1	-40.6	267.3	359.7	-92.3
2004	189.9	256.4	-66.5	110.7	155.9	-45.2	300.6	412.3	-111.7
2005	211.9	290.4	-78.5	120.2	170.1	-49.9	332.1	460.5	-128.3
2006	230.7	302.4	-71.8	133.7	198.3	-64.5	364.4	500.7	-136.3
2007	248.9	317.1	-68.2	135.9	210.7	-74.8	384.8	527.8	-143.0
2008	261.1	339.5	-78.3	151.2	215.9	-64.7	412.4	555.4	-143.1
2009	204.7	226.2	-21.6	128.9	176.7	-47.8	333.6	402.9	-69.4
2010	249.3	277.6	-28.4	163.7	230.0	-66.3	412.9	507.6	-94.7
2011	281.3	315.3	-34.0	198.3	262.9	-64.6	479.6	578.2	-98.6
2012	292.7	324.3	-31.6	215.9	277.6	-61.7	508.5	601.9	-93.3
2013	300.8	332.5	-31.7	226.0	280.6	-54.6	526.7	613.1	-86.4
2014	312.8	349.3	-36.5	240.3	295.7	-55.4	553.1	645.0	-91.9
2015	280.6	296.2	-15.5	235.7	296.4	-60.7	516.4	592.6	-76.2
2016	266.8	278.1	-11.2	231.0	294.2	-63.2	497.8	572.2	-74.4

წელს 33,3 მლრდაშს დოლარი შეადგინა, რაც, 2016 წელთან შედარებით 3,8%-ით მეტია (1,2 მლრდ აშს დოლარი), ხოლო 1993 წელთან შედარებით მეტია 220%-ით.

ასევე მექსიკა აშშ-ის საქონლის იმპორტის კუთხით მეორე ქვეყანაა. 2017 წელს აშშ-ში საქონლის იმპორტმა მექსიკი-დან 314.0 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 2016 წელთან შედარებით 6.8%-ით მეტია (20.0 მლრდ აშშ დოლარი, ხოლო 1993 წელთან შედარებით 687%-ით მეტია. მექსიკაზე მოდია აშშ-ის საქონლის იმპორტის 13.4%).

მექსიკიდან აშშ-ში მომსახურების იმპორტმა 2017 წელს 26.3 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 2016 წელთან შედარებით 6.9%-ით მეტია (\$ 1.7 მილიარდი), ხოლო 1993 წელთან შედარებით დაახლოებით 254%-ით. მხარეებს შორის ასევე მასშტაბური და მზარდია საინვესტიციო თანამშრომლობა. აშშ-ის პირდაპირი უცხოური ინვესტი-

ციების მოცულობამ მექსიკაში 2015 წელს 92,3 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 1993 წელთან შედარებით გაზრდილია 610%-ით. მექსიკურმა პუნქტის მოცულობამ აშშ-ში 2015 წელს 16,6 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 1993 წელთან შედარებით გაზრდილია 1330%-ით.

NAFTA-ს სადაცო საკითხები. ცნობილია, რომ NAFTA აშშ-ს, მექსიკასა და კანადას შორის თავისუფაღ გაჭრობას ითვალისწინებს, რომელსაც ტრამპი მუდმივად აკრიტიკებდა განსაკუთრებით არჩევნების წინ. აშშ-ს პრეზიდენტის განცხადებით, NAFTA ამერიკულ ბიზნესსა და სამუშაო ძალას ზიანს აყენებს. უნდა აღინიშნოს, რომ აშშ-ში პრეზიდენტის არჩევნების შემდეგ აშშ მოსალოდნელთან შედარებით, ნაკლებად პროტექციონისტურ პოლიტიკას ატარებს. მაგრამ, ინაუგურაციაზე წარმოთქმული სიტყვის დროს აშშ პრეზიდენტმა ტრამპმა აღნიშნა, რომ წინა პლანზე მხო-

ცხრილი 03 [4, გვ. 37.]

**აშშ პუი-ები კანადასა და მექსიკაში
1993-2015 წლებში (მლნ აშშ დოლარი)**

წელი	კანადური პუი-ები		აშშ პუი-ები		მექსიკური პუი-ები	აშშ-ის პუი-ები
	აშშ-ში	კანადაში	კანადაში	აშშ-ში		
1994	41,219	74,221		2,069		16,968
1995	45,618	83,498		1,850		16,873
1996	54,836	89,592		1,641		19,351
1997	65,175	96,626		3,100		24,050
1998	72,696	98,200		2,055		26,657
1999	90,559	119,590		1,999		37,151
2000	114,309	132,472		7,462		39,352
2001	92,420	152,601		6,645		52,544
2002	92,529	166,473		7,829		56,303
2003	95,707	187,953		9,022		56,851
2004	125,276	214,931		7,592		63,384
2005	165,667	231,836		3,595		73,687
2006	165,281	205,134		5,310		82,965
2007	201,924	250,642		8,478		91,046
2008	168,746	246,483		8,420		87,443
2009	188,943	274,807		11,111		84,047
2010	192,463	295,206		10,970		85,751
2011	205,225	330,041		12,500		85,599
2012	214,314	366,709		12,751		104,388
2013	222,989	370,259		15,869		86,433
2014	257,142	358,452		16,567		89,650
2015	268,972	352,928		16,597		92,812

ლოდ აშშ-ს სავაჭრო-ეკონომიკური ინტერესები უნდა იყოს დაყენებული და პროტექციონიზმს ეკონომიკური სარგებლის მოქანა შეუძლია.

მექსიკის მთავრობის წარმომადგენლები მოხარულები არიან, რომ პრეზიდენტ ტრამპთან NAFTA-სთან (ჩრდილოეთ ამერიკის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება) დაკავშირებით ხელახალი მოლაპარაკებების გამართვა შესაძლებელია. თუმცა მათ ამერიკელ კოლეგას მესიჯსაც უგბავნიან: არ დააწესოთ საბაჟო ტარიფი, რომ სავაჭრო ტარიფები ორივე მხარეს უარყოფთ ეკონომიკურ შედეგებს მოუტანს.

სამუშაო ადგილების გარკვევული რაოდენობა ამერიკელი მოსახლეობისთვის ნამდვილად დაკარგულია, თუმცა ამის ასე მარტივად თქმა არ შეიძლება: აშშ-ის სხვადასხვა კვლევების მიხედვით, ნაფტას შემდეგ, სამივე ქვეყნაში (ძ. შ. აშშ-ში) 40 მლნ მეტი სამუშაო ადგილი შეიქმნა და დღეს NAFTA-ზე პირდაპირ არის დამოკიდებული.

თავის მხრივ NAFTA-თი სარგებელს ამერიკული ტნკ-ები, განსაკუთრებით კი ავტომწარმოებლები იღებენ, რომლებიც მექსიკაში იაფ მუშახელს მარტივად პოულობენ. მექსიკაში საქონლის წარმოება უფრო იაფი ჯდება. შესაბამისად, ამერიკელი მოსახლეობა მექსიკიდან იმპორტირებულ საკვებს, ტანსაცმლება, ავტომობილებს და სხვა საქონელს უფრო ხელმისაწვდომ ფასებში ყიდულობს, თავის მხრივ ნაფტას ხელშეკრულების გადახედვა მათ საქონელსა და მომსახურებას გაუძვირებს.

აშშ, კანადასა და მექსიკის ვაჭრობის მინისტრებმა განაცხადეს, რომ სამივე ქვეყნის მთავრობა მზადაა დაჩქარებული იქნას სავაჭრო მოლაპარაკებების პროცესი და მოხდეს შეთანხმება განახლება საკუთარი მოქალაქეების სასარგებლოდ. მოლაპარაკებები დაიწყო 2017 წლის 16 აგვისტოს, მაგრამ ბოლომდე გაურკვეველია NAFTA-ის განახლებისა და მოდერნიზაციის პერსპექტივა. თავის მხრივ პრეზიდენტი ტრამპი განაგრძობს NAFTA-ის კრიტიკას და იმის ხაზებსმას რომ აშშ აქვს მაღალი სავაჭრო დეფიციტი მექსიკასთან. 2018 წლის თებერვალში მან განაცხადა რომ თუ შეერთებული შესტები ვერ შეთანხმდება მხარეებთან ის შეწყვეტს NAFTA-ს ხელშეკრულებას.

აშშ-ს პრეზიდენტმა, დონალდ ტრამპმა შესაძლოა ჩრდილოეთ ამერიკის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება (NAFTA) აღარ გაახანგრძლივოს. წინასაარჩევნო კამპანიის მსვლელობისას მან NAFTA-ს „ისტორიაში ყველაზე ცუდი ხელშეკრულება“ უწიდა და თეთრ სახლში შესვლის შემდეგ განადისა და მექსიკის უმაღლეს წარმომადგენლებთან ერთად მოლაპარაკების მაგიდას მიუკვდა. თუმცა მას შემდეგ მოლაპარაკების რამდენიმე უშედეგო რაუნდი გაიმართა.

ტრამპის განცხადებით, NAFTA აშშ-სთვის მომგებიანი ხელშეკრულებაარ არის. მისი აზრით, განსაკუთრებულ

სარგებელს მექსიკა იღებს, რომელიც აშშ-ს სამუშაო ადგილებს ართმევს.

ჩრდილოეთ ამერიკის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებას (NAFTA) ხელი 23 წლის წინ მოეწერა და მან აშშ, კანადა და მექსიკა გააერთიანა. აშშ-სსავაჭრო პალატის ინფორმაციით, თუელობით მილიონი სამუშაო ადგილი მექსიკასთან და კანადასთან ვაჭრობაზე პირდაპირ არის დამოკიდებული. სამუშაო ადგილების ზრდას კი ხელი სწორედ NAFTA-ზე ხელმოწერამ შეუწყო.

ერთ-ერთი მთავარი საკითხი, რომელზეც სამი მხარე შეთანხმებას ვერ ახერხებს, შემდეგია – საავტომობილო მრეწველობა და ვაჭრობა. მექსიკასთან სავაჭრო დეფიციტის ერთ-ერთი მთავარი გამსაბლვრელი ფაქტორი ავტომობილებია. ასე მაგალითად, 2016 წელს აშშ-ის ექსპორტში მანქანებისა და მისი ნაწილების წილმა მექსიკაში შეადგინა 27,2 მლრდ აშშ დოლარი, ხოლო იმპორტმა მექსიკიდან 96 მლრდ აშშ დოლარი, 1993 წელთან შედარებით აშშ-ის მანქანებისა და მისი ნაწილების ექსპორტი მექსიკაში გაზრდილია 262%-ით ხოლო პირიქით 765%-ით.

საქართველოს აქვს სავაჭრო-ეკონომიკური (და არა მარტო) ურთიერთობები ნაფტას წევრ ქვეყნებთან, განსაკუთრებით კი მის სტრატეგიულ პარტნიორ აშშ-თან [11], [14].

ეკონომიკური კვლევების უმრავლესობა მიუთითებს იმაზე, რომ NAFTA მომგებიანია ჩრდილოეთ ამერიკის ეკონომიკისა და წევრი ქვეყნების მოქალაქეებისათვის, მაგრამ ზიანი მიაყენა რიგ დარგებს [5] [6] [8]. ასევე მიიჩნევენ, რომ NAFTA-დან გამოისვლა და ვაჭრობის ბარიერების აღდენება უარყოფითად იმოქმედებს აშშ-ის ეკონომიკასა და ხარჯები [9] [10]. თუმცა, მექსიკა ბევრად უფრო მეტად დაზარალდა, შემცირდება სამუშაო ადგილები და მოხდება ეკონომიკური ზრდის შემცირება როგორც მოკლევადიან, ისე გრძელვადიან პერსპექტივიაში.

ამრიგად ეკონომიკური ინტეგრაციის შედეგები ასე გამოიყერება: გაიზარდა აშშ-ის ექსპორტის მოცულობა აშშ-ში; გაიზარდა აშშ-ში კანადური საქონლის იმპორტმა; გაიზარდა აშშ-ის მომსახურების ექსპორტმა კანადაში; გაიზარდა კანადური მომსახურების იმპორტმა აშშ-ში; გაიზარდა აშშ-ის პუი-ების მოცულობამ კანადაში; გაიზარდა კანადური პუი-ების მექსიკაში; გაიზარდა აშშ-ში მექსიკური საქონლის იმპორტმა; გაიზარდა აშშ-ის პუი-ების მოცულობამ მექსიკაში; გაიზარდა მექსიკური მომსახურების იმპორტმა აშშ-ში; გაიზარდა მექსიკური პუი-ების მოცულობამ მექსიკაში; გაიზარდა მექსიკური მომსახურების იმპორტმა აშშ-ში; გაიზარდა მექსიკური პუი-ების მოცულობამ მექსიკაში; გაიზარდა მექსიკური მომსახურების იმპორტმა აშშ-ში; გაიზარდა კანადისა და მექსიკის სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის მასშტაბები; გაიზარდა აშშ-ის კომპანიების ფილიალებია რაოდენობა კანადაში და პირიქით და სხვ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. World development indicators, (2017). World bank.
2. World Trade Organization, (2016). „World Trade Statistical Review”.
3. M. Angeles Villarreal. Ian F. Fergusson. (2018). NAFTA Renegotiation and Modernization. Congressional Research Service.
4. M. Angeles Villarreal. Ian F. Fergusson. (2018).The North American Free Trade Agreement (NAFTA). Congressional Research Service.
5. «NAFTA's Economic Impact». (2017). Council on Foreign Relations. Retrieved.
6. Jump up Rodrik, Dani. (2017). Populism and the Economics of Globalization.
7. Jump up to: Which American producers would suffer from ending NAFTA?». (2017). The Economist. Retrieved.
8. M. Angeles (2010). Villarreal NAFTA and the Mexican Economy, Federation of American Scientists Congressional Research Service.
9. James McBride, Mohammed Aly Sergie NAFTA's Economic Impact. <https://www.cfr.org/backgrounder/naftas-economic-impact>
10. Rothbard, Murray. (2016). The NAFTA Myth Mises Institute. Mises Institute.
11. ფუტკარაძე რ. (2017). საქართველო-ევროპავშირის საგაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები: პრობლემები და პერსპექტივები, თბილისი, «უნივერსალი».
12. Putkaradze R. (2015). Historical Aspects of Trade and Economic Relations between Georgia and the European Union. Zeszyty Naukowe UNIWERSYTETU PRZYRODNICZO-HUMANISTYCZNEGO w SIEDLCACH Seria: Administracja i Zarządzanie. Scientific Journal, Nr 107, 2015. Zeszyty Naukowe UNIWERSYTETU PRZYRODNICZO-HUMANISTYCZNEGO w SIEDLCACH Seria: Administracja i Zarządzanie, Poland.
13. <http://www.naftanow.org>
14. <http://geostat.ge>

THE NORTH AMERICAN FREE TRADE ASSOCIATION (NAFTA) AND ITS ECONOMIC EFFECTS

RAMAZ PUTKARADZE

Doctor of Economics, Associate Professor

Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia

ramaz.putkaradze@tsu.ge

KEYWORDS: ECONOMIC INTEGRATION, NAFTA, FREE TRADE, ECONOMIC EFFECTS

SUMMARY

The North American Free Trade Association (NAFTA) was founded in 1994 and includes the US, Canada and Mexico. Most of the tariff and non-tariff barriers were abolished after the agreement went into force. The Association has significantly contributed to deepening trade between member states and the growth of investments.

NAFTA is an example of how the member states can benefit from free trade. Although NAFTA was established just 24 years ago, the benefits brought by it to the member countries are quite significant; in particular, gross domestic product (GDP) of the member countries increased, the GDP per capita increased, employment rate grew. NAFTA provides an example that free trade has and will have a future. According to various studies, since 1993 the number of the employed has grown by 40 million people. It should be noted that the U.S. export to Canada grew from 100 million USD in 1993 to 267 million USD in 2016 and to Mexico from 142 million USD to 498 million USD. The U.S. import from Canada

amounted to 111 million USD in 1993 and 278 million USD in 2016; while import from Mexico grew from 151 million USD to 572 million USD. Every fourth job in Mexico depends on the export sector.

The majority of economic analysis shows that NAFTA is beneficial for the economy of North America and the residents of the member countries; however, it damaged a number of sectors. In addition, it is argued that withdrawal from NAFTA and restoring trade barriers will negatively affect U.S. economy and expenses. However, Mexico will be much more affected as jobs will be reduced and economic growth will slow down both in short and long term perspectives.

NAFTA has great support in the U.S. (as well as in Canada and Mexico). The survey by Gallup conducted in February 2017 showed that over 70% of Americans consider that NAFTA was good for America.

Georgia has trade and economic (and not only) relations with NAFTA member countries, especially with its strategic partner US.